

საქართველოს კანონი

პატიმრობის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. პატიმრობის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №12, 2010 წელი, მუხ. 49) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატება:

1. 41-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საბჭოს წევრი ინიშნება 6 თვის ვადით. პირის ხელმეორედ დანიშვნა საბჭოს შემადგენლობაში დასაშვებია მხოლოდ ერთხელ. საბჭოს წევრი თანამდებობიდან თავისუფლდება მინისტრის ბრძანებით, სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის თანხმობით, ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ცნობა, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

გ) მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) ამ მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის გასვლა;

ე) გარდაცვალება;

ვ) 1 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობა.“.

2. 122-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ ამბულატორიული დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ მსჯავრდებულს აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები და დეპარტამენტის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საჭიროებას, ადმინისტრაცია დეპარტამენტის კომისიის დასკვნის საფუძველზე ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს (შემდგომში – ექსპერტიზის ეროვნული ბიურო).“.

3. 122-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> ნაწილი:

„1<sup>1</sup>. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ადმინისტრაცია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე მიმართავს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციას „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მსჯავრდებულის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გამოტანამდე მის ბადრაგირებას უზრუნველყოფს დეპარტამენტი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.